ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 82

ქ. ბათუმი 14 სექტემბერი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე- გამარტივებული შესყიდვით, ერთის მხრივ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს** (ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.№126) წარმომადგენლის სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „აბსოლუტი-2010" (ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. №5ა) დირექტორის ოლღა შილაკაძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი (CPV-03200000, CPV-15800000, CPV-15900000, CPV-33700000, CPV-39200000).

1.2. მოწოდების ადგილი – ქ. ბათუმი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 394.20 (სამასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს. მათ შორის CPV-03200000 – 24.60 ლარი, CPV-15800000 – 242.40 ლარი, CPV-15900000 – 83.20 ლარი, CPV-33700000 – 5 ლარი და CPV-39200000 – 39 ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

3.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონელის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 16 სექტემბრამდე.

4. გარანტია

4.1. "შემსრულებელი იძლევა გარანტიას მისაწოდებელი საქონელი, მისი ხარისხი და ყველა სხვა მახასიათებლები შეესაბამება ასეთი საქონლისათვის ზოგადად წაყენებულ სტანდარტებს და "შემსყიდველის' მოთხოვნებს.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება საქონელის ფაქტიურად მოწოდების შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში (ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების საფუძველზე).

5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

გ)თუ მომწოდებლის მიერ მოწოდებული პროდუქციის ღირებულება მკვეთრად აღემატება შესყიდვის დროისათვის არსებული პროდუქციის საბაზრო ღირებულებას.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. საქონლის მიღება – ჩაბარება

12.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან საფინანსო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

12.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

12.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

17. გადასახადები და ბაჟები

17.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ,,შემსყიდველს'', ხოლო ერთი ,,მიმწოდებელს''.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ქ. ბათუმი ვ.გორგასალის ქ. №126

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო

ანგარიშის №GE62TB7901736010100015

საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610

მიმღების ბანკი: ს.ს. ,,თიბისი ბანკი''

ბანკის კოდი: TBCBGE22

სამმართველოს უფროსი __________ მ.ვანიშვილი

,,მიმწოდებელი''

ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ.№5ა

შპს ,,აბსოლუტი-2010''

ანგარიშის №GE48BG0000000325559300

საიდენტიფიკაციო კოდი: 445387689

მიმღების ბანკი: ს.ს. ,, საქართველოს ბანკი''

ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი: __________ ო.შილაკაძე

დანართი№1

№	დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთ. ღირებუ	მთლიანი ღირებულება		CPV კოდი
1	ვაშლი	კგ	3	2.7	8.1	24.6	03222321
2	ატამი	კგ	2	3	6		03222332
3	ყურძენი თითა	კგ	3	2.5	7.5		03222340
4	ქლიავი	კგ	2	1.5	3		03222334
5	ნამცხვარი ტარტარეტკა	ცალი	10	1.2	12	242.4	15812200
6	ხილის ნამცხვარი	ცალი	10	2.5	25		15812200
7	რულეტი	ცალი	10	2	20		15812200
8	ეკლერი	ცალი	20	0.6	12		15812200
9	კარალევსკი	ცალი	10	1.7	17		15812200
10	შაქარი კუბიკი შეკვრით	ცალი	1	5	5		15831000
11	ყავა იაკობს მონარქი რძით	ცალი	30	0.4	12		15861000
12	ჩაი გურიელი შეკვრით	ცალი	2	2.7	5.4		15863000
13	ხაჭაპური (იმერული)	ცალი	10	6	60		15812120
14	ბლინი (14 ცალიანი)	ცალი	3	6	18		15812120
15	პიცა	ცალი	8	7	56		15812120
16	ნატახტარის ლიმონათი 1 ლიტრიანი	ცალი	10	1.5	15	83.2	15982000
17	ბორჯომი შუშის 0.5 ლიტრიანი	ცალი	30	1.2	36		15981200
18	მინერალური წყალი ბახმარო 0.5 ლიტრიანი	ცალი	25	0.4	10		15981100
19	ნატურალური წვენი სანდორა 1 ლიტრიანი	ცალი	6	3.7	22.2		15982000
20	ერთჯერადი კოვზი 100 ცალიანი	ცალი	1	2.5	2.5	39	39223100
21	ერთჯერადი ჩანგალი 100 ცალიანი	ცალი	1	2.5	2.5		39223200
22	ერთჯერადი ჭიქა 100 ცალიანი	ცალი	1	2.5	2.5		39222120
23	ერთჯერადი ჭიქა წვენისათვის	ცალი	100	0.15	15		39222120
24	ერთჯერადი ჭიქა ყავისთვის	ცალი	100	0.1	10		39222120
25	ერთჯერადი თეფში 100 ცალიანი	ცალი	1	6.5	6.5		39222110
26	ხელსახოცი სელპაკი 200 ცალიანი	ცალი	1	5	5	5	33764000
	სულ:				394.2	394.2	

სამმართველოს უფროსი _____

მომწოდებელი _____